

ვალერი ოთხოზორია

აგამემნონი 5

პერსონაჟები:

აგამემნონი

კლიტემნესტრა

დეია

ბავშვი

კლიტემნესტრას მამა

პრიამოსი

პარისი

ელენე

მენელაოსი

კასანდრა

I ქალბატონი

II ქალბატონი

III ქალბატონი

კაცი

გოგონა-ქალი

ზევსი

პრიამოსისა და კლიტემნესტრას მამის თავები

აგამემნონი:

- ხარს გავარტყი! სარკე ჩამილეწა!

კლიტემნესტრა:

- რა?!

აგამემნონი:

- ხარს გავარტყი და სარკე ჩამილეწა!

კლიტემნესტრა:

- სად?! რანაირად?!

აგამემნონი:

- გზაზე იდგნენ ჩვეულებრივად. მათ შორის გამოვდიოდი და უცებ... ბახ! მლეწა ერთმა! ყველაზე ღონიერი რომელიც იყო - იმან.

კლიტემნესტრა:

- (ჩუმადაა)

აგამემნონი:

- წავედი მე!

კლიტემნესტრა:

- სად მიდიხარ?!

აგამემნონი:

- მოვალ!

კლიტემნესტრა:

- პამპერსი არ დაგავიწყდეს!

აგამემნონი:

- კაკრაზ მაგისტვის!

აგამემნონი დიდ ჰამერში ჯდება. ჰამერი იქოქება. აგამემნონი მოხევს ბლუილით. საშინელი ბული დგება. კლიტემნესტრა იხრჩობა ხველებით. ბავშვი ტირის. კლიტემნესტრა ბავშვს აწყნარებს.

აგამემნონი:

- საყვარელო!

კლიტემნესტრა:

- ეს ვინ არის?!

აგამემნონი:

- ჩემი დეიაა!

კლიტემნესტრა:

- აქ უნდა დარჩეს?!

აგამემნონი:

- ამან გამზარდა პრაქტიკულად.

დეია:

- მურთაზი!

კლიტემნესტრა:

- ვის ეძახის?!

აგამემნონი:

- მე მეძახის. რა გინდა, ქარჩახე?!

კლიტემნესტრა:

- ქარჩახე ვინ არის?!

დეია:

- ვინაა ეს ქალი?!

აგამემნონი:

- *(კლიტემნესტრას.)* დეიაა! ასე ვეძახი. *(დეიას.)* ჩემი ცოლია, ვინ იქნება!

კლიტემნესტრა:

- თუ დეიაა, ქარჩახეს რატომ ეძახი?!

დეია:

- რას ქვია ცოლი?!

აგამემნონი:

- *(კლიტემნესტრას.)* ასე გამზარდა და იმიტომ! *(დეიას.)* ცოლი ცოლს ქვია, რას უნდა ერქვას! *(ზოგადად.)* წავედი მე!

კლიტემნესტრა:

- სად მიდიხარ?!

დეია:

- მურთაზი!

აგამემნონი:

- მოვალ!

აგამემნონი ჰამერში ჯდება და მიდის.

დეია:

- როცა პატარა იყო, ყოველდღე წითელ ათმანეთიანებს ვჩუქნიდი, კუტუზე თუ მაკონცინებდა. ქალები, ყველანი კუტუზე ვკონცინდით. ბავშვი თვალსა და ხელშუა მდიდრდებოდა. *(ბავშვი ტირის.)* ვინ ტირის?!

კლიტემნესტრა:

- ჩვენი ბავშვი.

დეია:

- მე როცა შენხელა ვიყავი, შეყვარებული მყავდა... მოტოციკლზე იჯდა და დადიოდა... ღამით, ჩემთან რომ უნდა მოსულიყო, გზაში გააჩერეს და თავში გაზი ჩაართყეს. ტვინში სისხლი ჩაექცა. გარდაიცვალა! ბავშვი დამაკავე, დავაძინებ.

კლიტემნესტრა:

- მეზიზღება, როცა ჩემს ბავშვს სხვისი ხელი ეხება.

დეია: *(ყვირილით:)*

- ბავშვი დამაკავე, დავაძინებ! *(კლიტემნესტრა დუმს. ბავშვი კიდევ უფრო ხმამაღლა ტირის.)* მურთაზი! ბავშვი მომეცით!

შემოდის აგამემნონი. სისხლიანი ხელები აქვს.

კლიტემნესტრა:

- ხელები სისხლში გაქვს ამოთხვრილი?!

აგამემნონი:

- ბიჭებმა ვითევზავეთ.

კლიტემნესტრა:

- სისხლიანი რატომ ხარ?!

აგამემნონი:

- ვთევზაობდი.

კლიტემნესტრა:

- თევზის სუნს ვერ ვიტან, ახლოს არ მოხვიდე! ბავშვმა არ იყნოსოს, თორემ გაიღვიძებს და აღარ დაეძინება. შეიძლება მოკლას თევზის სუნმა! როგორ ყარს! ფუ!

აგამემნონი:

- მთელი მანქანა სავსეა...

კლიტემნესტრა:

- ვაიმე!..

დეია: (შემოდის.)

- ამ რძეს რა ვუყო?!

აგამემნონი:

- რა უნდა უყო, შეიტანე.

დეია:

- ყველი გავაკეთო თუ მაწონი? ბავშვი დამაჭერინეთ, კუტუზე ვაკოცებ და ფულს მივცემ.

კლიტემნესტრა:

- საყვარელო! ბავშვი არ მისცე! ხელი არ შეახოს!! *(დეია ბავშვს შორიდან ეთამაშება.)*

აგამემნონი:

- კუტუ არა აქვს მაგას. გოგოა ეგ.

დეია:

- ინსტიტუტი რომ დავამთავრე, მამაჩემმა ოქროს სასწორი მიყიდა... აქ არ იშოვებოდა და საზღვარგარეთიდან ჩამოატანინა... მურთაზი რომ წამოიჩიტა, ჩემი პრეზერვატივების მოპარვა დაიწყო. თანაც, ბევრს იპარავდა, სხვებსაც ურიგებდა ალბათ, თორემ მარტო ამდენს რას მოერეოდა. ავდექი და ყველა პრეზერვატივი ზანდუკში ჩავკეტე. მოსულა მურთაზი, მეზნა დაუწყია, ყველაფერი გადაუტრიალებია. ჩემი სასწორი დაუგდია და პატარ-პატარა, ოქროს გირები მიმოუფანტავს... ერთ დღესაც, ვხედავ, სასწორში გირები არაა. ვისზე ვიეჭვებდი?! რა თქმა უნდა, ვინმე პატარაზე, ვინც შეიძლება გირებით ითამაშოს... ბახვა, საცოდავი... მაგას დაბრალდა... არადა, არაფერ შუაში იყო... მურთაზი ეძებდა პრეზერვატივებს და იმან დაფანტა. ბახვა რომ მახსენდება... შეშინებული... ხელში მომწყვდეულ ჩიტს ჰგავდა... *(კლიტემნესტრა ხვრინვას ამოუშვებს.)*

აგამემნონი ფეხაკრეფით შემოდის. კლიტემნესტრასკენ მიემართება, ცერებზე.

დეია: *(ყვირის.)*

- ვინა ხარ მანდა?! მურთაზი!

აგამემნონი: *(ტუჩებზე თითს იდებს. ჩურჩულით.)*

- ჩუმაღ!

დეია: *(ყვირის.)*

- სად მიიპარები?! მურთაზი!

აგამემნონი:

- ჩუმაღ, თორემ გესვრი, ჩემი დედა მოვტყან! *(დეია ჩუმდება. აგამემნონს ბავშვი ჩუმაღ მიჰყავს.)*

კლიტემნესტრა: *(სასოწარკვეთილი, კვივის:)*

- ბავშვი! მამიკო, მიშველე! ბავშვი!

კლიტემნესტრა:

- *(თოკს ჰკიდებს ჭაღზე და ყულფს აკეთებს. სკამზე ხელეზმეკრული დეია აჰყავს და თავს ყულფში აყოფინებს.)*

დეია:

- ძროხის ბლავილი მესმის. შეიძლება ჩემმა ძროხამ ხბო მოიგო.

კლიტემნესტრას მამა: *(ავტომატს ტენის.)*

- ვილაცის აღსასრულის დრო დადგა! ეხლაც არ იტყვი, ბავშვი სად არის?! ათამდე ვითვლი. ერთი!

კლიტემნესტრა:

- მამიკო, მე დავითვლი! ორი! თქვი!

კლიტემნესტრას მამა:

- ჩემს შვილს ცხოვრება გაუმწარე, ჩათლახო! თუ ხმას არ ამოიღებ, დაგბრიდავ!

კლიტემნესტრა:

- მამიკო, რაღაცის თქმა უნდა! რაღაცის თქმა უნდა! სამი! აბა, პირზე მოვხსნათ. ოთხი! ექვს წამში უნდა მოასწრო. სად არის ბავშვი?!

დეია:

- როცა პატარა იყო, იმდენი ლექსები და ზღაპრები იცოდა... მერე, ყველაფერი დაავიწყდა. საერთოდ ყველაფერი.

კლიტემნესტრა:

- რას ბოდავ?! მამიკო, რას ამბობს?! ხუთი! ამდენი დრო არაა! ხუთი წამი გაქვს!
(მუცელში ფეხს ურტყამს. სკამი ვარდება და დეია ყულფზე ჩამოეკიდება.)
კლიტემნესტრას მამა იჭერს, რათა არ დაიხრის, მიხუტებული ჰყავს.)

კლიტემნესტრას მამა:

- მამა, დამშვიდდი და ცოტა უფრო ნელა დაითვალე! გაიხსენოს ამ ბოზმა, როგორც ჩანს, უცებ ვერ იხსენებს. *(დეიას.)* იმედი მაქვს, გვეტყვი ბავშვის ადგილსამყოფელს, სანამ დაგბრიდავ.

კლიტემნესტრა: *(მანიაკალური სიმშვიდით.)*

- ექვსი. ოთხი წამი დაგრჩა, პურის ობო!

დეია:

- ონავარი იყო. გვაბრაზებდა. თეფშებს და ჭიქებს ამტვრევდა. უძვირფასეს ჭურჭელს ვყიდულობდი, რათა მას დაემტვრია.

კლიტემნესტრა:

- რას ჰყვება, მამა?! შვიდი! სამი წამი გრჩება, ბრიყვო! დაფქვი!

კლიტემნესტრას მამა:

- ნელა, მამიკო. არ იჩქარო. ყველაფერი გაიხსენოს.

კლიტემნესტრა:

- მამა! ნერვები წკიპზე მაქვს! ჩემი ბავშვი მინდა!

კლიტემნესტრას მამა:

- დროზე, ყველაფერი გაიხსენე, მათ შორის ისიც, ბავშვი სად არის.

დეია:

- ფეხით სიარულზე თავიდანვე კატეგორიული უარი განაცხადა. ძალიან მსუქანი ბავშვი იყო. ოფლში ვიხვითქებოდით მისი ტარებით. ზურგზე მოკიდებას „ოპა-ოპას“ ეძახდა...

კლიტემნესტრა: (მოთმინებადაკარგული:)

- რვა! ცხრა! ათი! მამა, ესროლე!

კლიტემნესტრას მამა დეიას ხელს უშვებს და გამოიწვევა; ავტომატს დაუმიზნებს; დეიას ყულფზე ეკიდება და იხრჩობა; კლიტემნესტრას მამა ავტომატის ჯერს უშენს დეიას. დაცხრილული დეიას გვამი ყულფზე კიდია და ქანაობს.

კლიტემნესტრა: (ქვითინით:)

- სად არის ჩემი ბავშვი?! მამა! (სინათლე ქრება. აგამემნონის ჰამერის ფარები შემოანათებს.)

აგამემნონი: (თოკზე ჩამოკიდებულ დეიას გვამს მივარდება, გაოგნებული; კოცნის.)

- დეია! აჰაჰ! დეია! (სიჩუმე.) ვინ მოკლა?! (კლიტემნესტრა და მამამისი ერთმანეთს შეხედავენ.)

კლიტემნესტრას მამა:

- ბოზებმა. (აგამემნონი კლიტემნესტრას უყურებს.)

კლიტემნესტრა:

- ბოზებმა.

კლიტემნესტრა: *(ყვირილით, აგამემნონს:)*

- ბავშვი არაა! სად იყავი?!

აგამემნონი:

- ბავშვი სადაა?! ვიბრძოდი.

კლიტემნესტრა:

- ბავშვი არაა! იბრძოდი?!

აგამემნონი:

- შენი და მოიტაცეს.

კლიტემნესტრა:

- რა?! ვინ?! როდის?!

აგამემნონი:

- ბოზებმა. ომი დაიწყო.

პრიამოსი:

- თავიდან მოიშორე ის ბოზი!

პარისი:

- ის ჩემი ცოლია, მამა!

პრიამოსი:

- მის გამო ომი იქნება! თავიდან მოიშორე!

პარისი:

- მე სიყვარულს ვერ ვუღალატებ.

პრიამოსი:

- მის გამო პარიზი აოხრდება, პარის!

პარისი:

- ყლუზე მკიდია ეს პარიზი! დაე, დედა მოეტყნას ამ ბორდელს! ამის გამო ჩემს ოჯახს ვერ დავანგრევ.

პრიამოსი:

- ამის გამო შენს ოჯახს ვერ დაანგრევ?!

პარისი:

- ვერ დავანგრევ. როცა მე დავიბადე, სახლიდან გაიქეცი. სამი წელი არ გამოჩენილხარ. მთელი ქვეყანა გეძებდა. შენ მე არ გინდოდი, გოგო გინდოდა! ჩემს პირველ ფოტოზე გოგოს კაბა მაცვია! მაშინ რატომ არ დაანგრეეს პარიზი?! სამი წელი! რას აკეთებდი ამ დროის მანძილზე?! სად იყავი?! მაშინ რატომ არ შეგტკიოდა გული შენს ბორდელზე?!

პრიამოსი:

- ეიფელის კოშკზე ვცხოვრობდი. თუ გახსოვს... რა გეხსომება, ძალიან პატარა იყავი: სწორედ შენი დაბადების დღიდან, სამი წლის მანძილზე კოშკი დაკეტილი იყო, დამთვალიერებლებს არ იღებდა, ვითომ კოროზიის გამო სარემონტო სამუშაოებს საჭიროებდა. მე იქ ვცხოვრობდი. სამი წელი კოშკის კენწეროდან არ ჩამოვსულვარ. დღეები და ღამეები, სამი წლის მანძილზე, პარიზს გადავყურებდი, თითქოს ის იყო ჩემი ცოლი... ჩემი შეყვარებული... ჩემი ქალიშვილი, რომლის ნაცვლაც შენ გაჩნდი... პარიზი სამყაროში უღამაზესი ქალია... ქალღმერთი... მას გაფრთხილება ჭირდება. სწორედ მან მომცა მხნეობა, დავბრუნებოდი ჩემს თავს, ჩემს ოჯახს, სახელმწიფოს... დედაშენს წერილი მივწერე, შენთვის მისი სახელი დაერქმიათ: „პარისი“... მართლაც, მასავით მშვენიერი გაიზარდე, მხოლოდ - მამაკაცი და არა - ქალი. გიხდება ეს სახელი. სამ წლამდე, ლუკა გერქვა.

პარისი:

- რა?

პრიამოსი:

- სამ წლამდე, ლუკა გერქვა.

პარისი:

- ლუკა რატომ? *(სიჩუმე.)* მამა, მეზიზღები! *(პარისი გადის.)*

პრიამოსი:

- პარის! *(თავისთვის, ხმადაბლა:)* რა დავუშავე?

ჰექტორი:

- პარის!

პარისი:

- შემეშვი!

ჰექტორი:

- შენი ცოლი სად არის?

პარისი:

- არ ვიცი.

ჰექტორი:

- ომია, პარის!

პარისი:

- მითხრა, ზღვის ნაპირზე გავისეირნებო... და წავიდა.

ჰექტორზე:

- ზღვის ნაპირზე დესანტი გადმოსხეს.

პარისი ჰექტორს ამტერდება.

ელენე პლიაჟზე, ფეხშიშველი, ტრიალებს, მირბის, ზოგჯერ მისეირნობს, აშკარად ალტკინებულია.

ელენე:

- ვგიჟდები ნიჟარებზე! *(ნიჟარებს კრეფს, ყურებზე იდებს.)* თითქოს, ზღვასთან რეკავ, ყურზე ყურმილი გაქვს მიდებული, ზღვა კი გეჩურჩულება, გამშვიდებს, გეფერება მთელი თავისი სითბოთი და ათასჯერ გიმეორებს: მიყვარხარ... მიყვარხარ... მიყვარხარ... ხშირად, იმდენად ბედნიერი ვარ, მავიწყდება ყველა და ყველაფერი... აღარ მახსოვს, სად ვარ, ან რას ვაკეთებ... რა უცნაურია ბედნიერების შემოტევა... უჰ...

ღრუბლიდან ზევსი უთვალთვალავს. სამხედრო კატარღებით ჯარისკაცები ნაპირისკენ მოცურავენ. ზევსი ზეციდან ელვის ისრებს ესვრის და ჯარისკაცებით სავსე კატარღებს აფეთქებს. პარისი გალავნიდან უყვირის ელენეს.

პარისი:

- ჯარისკაცები მოდიან, დაბრუნდი, ელენე! დაბრუნდიი!..

ელენე:

- ბავშვობაში, ჩემს დას ჩემი შურდა და ყველაფერს მართმევდა... თუ ხეზე ორ ბალს მოვწყვეტდი, ორივეს წამართმევდა იმის ნაცვლად, რომ თავადაც მოეწყვიტა ორი ან მეტი ბალი... როცა თვითონ ჩაიფსამდა, თავის სველ ტრუსიკს გაიხდიდა და თავზე დამაფენდა, ჩემსას კი, მშრალს, გამხდიდა და ჩაიცმევდა... მე უტრუსიკოდ ვრჩებოდი მთელი დღე... ისე მრცხვენოდა... ძალიან მრცხვენოდა, ადგილს ვერ ვპოულობდი დასამალად... *(ცოტა ხნის შემდეგ.)* ახლა მარტო ვარ... არავინ მაიძულებს... რამდენ ნიჟარასაც მინდა, იმდენს შევავროვებ... *(ნიჟარებს აგროვებს. ზევსი ნიჟარად იქცევა და ღრუბლიდან ელენეს ფეხებზე დავარდევს გამორჩეული, ოქროსფერ-შაბიამნისფერი ნიჟარის სახით, რომელიც ძვირფასი მარგალიტებით ბრწყინავს.)* რა ღვთაებრივი ნიჟარაა!.. ამაში ალბათ ქალთევზა დაიბადა... როგორი ფაფუკია... რა სასიამოვნო ხმა აქვს... თითქოს, ზღვის მშობიარობას უსმენ... ჩემი თილისმა იქნება ეს ნიჟარა! არასდროს მოვიშორებ. *(ნიჟარას კოცნის და გულში იხუტებს.)*

პარისი: *(შორიდან უყვირის.)*

- საყვარელო, ეს ნიჟარა არაა! ზევსია! გადააგდე! აქეთ ნუ მოგავს და გამოიქვცი! *(ელენე, უცებ გამორკვეული, ყურს მიუგდებს პარისის ძახილს, თუმცა შინაარსს ვერ გაარჩევს.)*

ელენე:

- პარისი ყვირის... შეიძლება პარიზი დაბომბონ?! შეუძლებელია! მე ამას არ დავუშვებ! შენთვის თავს გავწირავ, პარიზო!

გარბის. ნიჟარა თან მიაქვს.

მტვერსა და ბოლში შემოდის მენელაოსი, ჯარისკაცის ფორმაში, წელზევით შიშველი, შემინებული სახით.

მენელაოსი:

- დავიკარგე! სადღაც მივდიოდი და დავიკარგე... ვიღაცას ვეძებდი... ნეტა, ვის ვეძებდი?!

დეია: *(დაცხრილული ძირს გდია.)*

- შენ ბახვას ხმა გაქვს, დეია! ბახვა ხარ?!

მენელაოსი:

- მკვდარი მეგონე. ყველანი პარიზში არიან! ჩემს ცოლს ეძებენ. სახლში მოვედი?!

დეია:

- მიშველე დეია, მიშველე!

მენელაოსი:

- რა გავაკეთო, შენთვის, დეი?! რა შემიძლია?! იმდენი კარგი მახსოვს შენგან!..

დეია:

- მაინც რა გახსოვს?!

მენელაოსი:

- ის, რომ სკოლაში წასვლის წინ ათმანეთიანს მაძლევდი, თუ კუტუზე გაკოცნივდი.

დეია:

- მერე?

მენელაოსი:

- ყოველ დილით ათმანეთიანს ვიდებდი ჯიბეში. საიდან მოგქონდა ამდენი ფული?! იპარავდი?!

დეია:

- ქურდი არასდროს ვყოფილვარ, დეია, უბრალოდ ვშოულობდი.

მენელაოსი:

- უბრალოდ შოულობდი?! მეც მინდა, რომ შენსავით...

დეია:

- სად მიგქონდა ყოველ დღე ათი მანეთი? იმ ფულით რას აკეთებდი?

მენელაოსი:

- ბევრ კევებს ვყიდულობდი. ლიმონათებს. ბევრ კოტლეტებს. უმეტესობას ვეღარ ვჭამდი.

დეია:

- დანარჩენს რას უშვრებოდი? აძლევდი ვინმეს?

მენელაოსი:

- არავის, არასდროს. პერანგის შიგნით ვიდებდი კოტლეტებს. ჩაის ფაბრიკასთან ქვის ღობეს მივემალეზოდი და გამვლელებს ვესროდი. დირექტორებს, ბუღალტრებს, მასწავლებლებს... ჩემი კოტლეტები ხვდებოდა თავში...

დეია: *(იცინის, თუმცა ტკივილები უასკეცდება.)*

- ველარ ვიცინი! შეგიძლია ტყვიები ამომაცალო?!

მენელაოსი:

- ეხლავე. მაკრატელს ავიღებ. *(მაკრატლით ბრუნდება. დეიას სხეულს ჭრის და ტყვიებიანი ხორცის ნაჭრებს ერთად ალაგებს.)*

დეია:

- მტკივა! მტკივა! შენ ჩემს სხეულს ჭრი!

მენელაოსი:

- ღრმად არიან ტყვიები. ვერ ვიღებ სხვანაირად. *(აგრძელებს.)*

დეია:

- *(ტკივილისაგან ყვირის.)* კოტლეტებს რატომ ესროდი ხალხს, როგორ გგონია?

მენელაოსი:

- ერთადერთხელ, მაშინ ვიყავი ბედნიერი... და ეს შენი ათმანეთიანების წყალობით იყო...

დეია:

- ვნანობ... რომ არცერთხელ არ შეგეკითხე, სად მიგქონდა ჩემი ათმანეთიანები... ძალიან მიყვარდი... შენ კი ათმანეთიანის გარეშე არ მაკოცნინებდი კუჭუზე...

მენელაოსი:

- მართლა გიყვარდი?!

დეია:

- რა თქმა უნდა, შტერო! ახლაც მიყვარხარ!

მენელაოსი:

- ადრე მჯეროდა სიყვარულის... ახლა არ მჯერა.

დეია:

- გჯერა თუ არ გჯერა, მე მაინც მიყვარხარ!

მენელაოსი:

- ცრუობ!

დეია:

- როგორ მინდა, ჩემი ტყვიები შენს სხეულში გადავიტანო!

მენელაოსი:

- მე კი ყველა ტყვია მინდა, სხეულიდან ამოგაცალო!

დეია:

- ახლა არ გჭირდება ფული?!

მენელაოსი:

- ფულის დრო არ მაქვს. უნდა გავიქცე. ახლა ომია. რასაც ბრძოლაში მოასწრებ, მხოლოდ ის გრჩება. იმედია, კიდევ შევხვდებით! *(მენელაოსი გარბის.)*

დეია:

- არ წახვიდე, ბახვა, მე სულ მარტო ვარ! *(ტირის.)* ვედარ ვტირი, საშინლად მტკივა! ყველა ცრემლი საშინლად მტკივა! დარჩი! ყველა ტყვია ამომაცალე, რომ ვიტურო, ვიდრე მოვკვდები!

მენელაოსი: *(გზას ვერ აგნებს.)*

- საით წავიდე?! დეი, გეცოდინება, ომი საითაა!

დეია:

- ზუსტად ვიცი. სადაც ძალიან ბნელა. თვალები დახუჭე და ირბინე. და იქ მოხვდები. პირობას გამძლეე.

ელენე: (სარკეში იყურება.)

- ჩემზე ცუდად მოქმედებს ზღვის ჰაერი... ჩემი სახე უდაბნოს ემსგავსება, ღამით კი მესიზმრება, რომ ჩემს სახეზე აქლემების ქარავნები დადიან.

პარისი:

- პირიქით, კარგია ზღვის ჰაერი. კანის სოკოს არჩენს. ბავშვობაში, ბევრი კანის სოკო მქონდა ტანზე... აქ, აქ, კიდევ აქ, აქ, და აქაც. და ყველა მომირჩა, როგორც კი ზღვაზე ცურვა დავიწყე.

ელენე:

- ზღვაზე ცურვა ერთია, ჰავა კი მეორე. ზღვის ჰავა გულს მიჩქარებს. თითქოს, გავრბივარ. თითქოს, უბედურება ხდება... საშინელია ზღვის ჰავა... ამას დამატებული მზე, რომელიც დაფიქრების უნარს გართმევს...

პარისი:

- დამშვიდდი, პატარავ. აქაურობას მალე შეეჩვევი. პარიზი ყველაზე ლამაზია.

ელენე:

- არ შემეხო, პარის, არ შემეხო! კანზე მარილის ნაწილაკებს ვგრძობ... ყოველ საათში წყალს ვივლებ, მარილი კი მაინც არ მშორდება... ნეტა, თევზები როგორ ძლებენ ზღვაში?!.. თევზი თუ ვიქნებოდი, მაშინათვე თავს მოვიკლავდი. გეფიცები.

პრიამოსი: *(კანალიზაციის გვირაბში, მენელაოსს ფეხებში უვარდება.)*

- მენელაოსი შენ ხარ?!

მენელაოსი:

- ვირთხის ხმა მესმის.

პრიამოსი:

- ოღონდ, პარიზი არ დაანგრიოთ! პრიამოსი ვარ. პარიზს არ შეეხოთ! გემუდარები! პარიზს არ შეეხოთ! ყველაფერზე თანახმა ვარ, თუ პარიზს არ დაანგრევთ.

მენელაოსი:

- და ის ბოზი სადაა?!

პრიამოსი:

- რომელი ბოზი?! აქ იმდენი ბოზია. ყველას მოგიყვანთ.

მენელაოსი:

- მე ჩემი მინდა. *(მენელაოსი გადის.)*

პრიამოსი:

- ნუ დაანგრევთ პარიზს. ის ულამაზესია.

აგამემნონის ჰამერის ფარები ინთება. აგამემნონი სახლში ბრუნდება. მანქანიდან გადმოდის და ყვირის.

აგამემნონი:

- ააააა! ააააა! ააააა! (პაუზა) ააააა! ააააა! ააააა!

მანქანაში ჯდება და მიდის.

კანალიზაციის ლუქიდან თავს ამოყოფს მენელაოსი, გაველურებული, გრძელი, მოუვლელი წვერით და ფრჩხილებით, ბინძური.

მენელაოსი:

- აგამემნონ, ძმაო! სადა ხარ?! აგამემნონ!

ხელახლა, ლუქში ძვრება.

ტყე. აგამემნონი და კლიტემნესტრა ბავშვის საძებნად არიან. დეია გვერდით გდია, სისხლიანი, ძაღლები გლეჯენ.

კლიტემნესტრა:

- ჩიტების ჟღერტულზე ბავშვობიდან მაჟრიალებს... ხმა გაიგე?! ბავშვი ტიროდა...

აგამემნონი:

- რა?

კლიტემნესტრა:

- ბავშვი ტიროდა...

აგამემნონი:

- ზღარბი ყოფილა... აქეთ წასულა.

კლიტემნესტრა:

- „მიშველეთო“! ბავშვი გვეძახის!

აგამემნონი:

- ჰეი, შენ მეგობარო! მანდ რას აკეთებ!

კლიტემნესტრა:

- ვინ არის?! *(იარაღს უმიზნებს.)* ხელები მაღლა! არ გაინძრე!

აგამემნონი:

- *(კლიტემნესტრას.)* შეეშვი. *(კასანდრასთან მიდის, ხელს კიდებს, ეხუტება, ტუჩებში კოცნის, ძუძუებს უმასაჟებს და ავანსცენაზე გამოყავს.)*

კლიტემნესტრა:

- თუ არ მეტყვი, ვინ ხარ, დაგცხრილავ. *(აგამემნონი მახნეებს, ლოყაზე კოცნის და ცრემლს უწმენს.)*

კასანდრა:

ბ!

ბ! გ!

ბ! გ! დ! პ!

ჟ! რ! ს!

ჟ! რ! ს! ც!

ს! ც! ხ!

ს! ც! ც! ხ! ლ!

ს! ყ!

ს! ყ! ვ!

ს! ყ! ვ! რ! ლ!

კ!

კ! ვ! ლ!

ყ! ფ!

ყ! ფ! რ!
ყ! ფ! რ! ბ!
ყ! ვ! ვ! ლ!
მ! ზ!
მ! წ!
ღ!
ღ! ღ!
ღ! ღ! ნ!
ღ!
ღ! ბ!
ღ! ბ! ღ! ბ!
ღ! ღ!
მ! მ!
ღ! ღ!
მ! მ!
ს! ც! ვ!
ს! მ! ლ! ვ! ლ!
ტ! ყ!
ტ! ყ! ლ!
ჯ!
ჯ! ვ! რ!
ღ!
ღ! ვ! ღ! ლ!
წ!
წ! მ! ყ! ვ! ნ!
ზ! ღ! ვ!
მ! ზ! ს! ჩ! ს! ვ! ლ!
ს! ტ! ყ! ვ!
გ! მ! ქ! ვ! ბ! ლ!
ს! ნ! თ! ქ! ვ!
ჰ!
ჰ! რ!
ჰ!
ჰ! რ!
ჰ!
ჰ! რ!
ჰ!
ჰ! რ!
ჰ!
ჰ! რ!
მ! ვ! ნ! ნ! ბ! ყ! ვ! ლ! ფ! რ! ს!
მ! შ! ნ! მ! ყ! ვ! რ! ხ! რ!
მ! პ! ტ!
მ! შ! ნ! მ! ყ! ვ! რ! ხ! რ!
მ! პ! ტ!
მ! შ! ნ! მ! ყ! ვ! რ! ხ! რ!
მ! პ! ტ!
მ! შ! ნ! მ! ყ! ვ! რ! ხ! რ!

კლიტემნესტრა:

- რას ბოდავს?!

აგამემნონი:

- დავიღალე! ცოტა ჩამოვჯდეთ.

კლიტემნესტრა:

- მე არ დავლილვარ! არ შემიძლია დაჯდომა! ვერ ვჯდები! *(კლიტემნესტრას ჩანთიდან რაღაცეები ამოაქვს. აგამემნონსაც აძლევს. ჭამენ.)*

დეია:

- მურთაზი! ვინაა ის ქალი?!

აგამემნონი:

- არავინ! *(კლიტემნესტრას, კასანდრაზე.)* მიეცი მაგასაც!

სამივენი ჭამენ.

კასანდრა:

ა
ა ა
ა ა ა
ა ა ა ა
ა ა ა ა ა
ა ა ა ა ა ა
ა ა ა ა ა ა ა
ა ა ა ა ა ა ა ა
ა ა ა ა ა ა ა ა ა

(კლიტემნესტრა:

- რას ლაპარაკობს?!

აგამემნონი:

- შეეშვი. *(კლიტემნესტრა და აგამემნონი სხვადასხვა მხარეს გადიან, ძეგნით. კასანდრა შეუწყვეტლივ აგრძელებს მონოლოგს.)*

დეია:

- ძაღლები მომაშორეთ. საჭმელიც მომეცით. *(კლიტემნესტრა ბრუნდება და ნაფცქვენებს აყრის. საჩქაროდ გადის.)* მცივა! *(აგამემნონს ბენზინის კანისტრა შემოაქვს, დეიას ასხამს და ცეცხლს უკიდებს. აგამემნონი საჩქაროდ გადის. ცეცხლმოკიდებული დეია ყვირის:)* არ დამტოვოთ აქ! წამიყვანეთ! *(აგამემნონი და კლიტემნესტრა ბრუნდებიან. კლიტემნესტრა თოკს გამოაბამს დეიას, აგამემნონი მანქანას მიაბამს. მანქანაში სხდებიან. თოკით გამობმული გვამი მიაქვთ.)*

ა ა ა ა ა ა ა ა ა ა
ა ა ა ა ა ა ა ა ა ა

აფეთქების ხმას კარის დაცემა მოსდევს. კვამლი იფანტება. პარისი და ელენე, რელაქსირებულნი; პარისი საწოლის გვერდით, იატაკზე წევს. ელენე საწოლზე მოკალათებულია. მენელაოსი, სამხედრო ფორმაში, კანალიზაციის თხლემში ამოთხვრილი შემოდის, ავტომატი მაღლა აქვს შემართული. ხან პარისს უყურებს, ხან - ელენეს.

პარისი:

- ყარს.

ელენე:

- ვაიმე, ახლა მოვკვდები!

პარისი საწოლის ქვეშ ცდილობს იარაღი მოძებნოს.

მენელაოსი:

- ნუ მაიძულებ, გესროლო! რას აკეთებთ?! (ელენეს.) რა გქვია?! (ყნოსავს ელენეს.) მეცნობა შენი სუნი. (ელენეს მაგრად იხუტებს და თხლეს კარგად აწმენდს. ელენე კონვულსიებში ვარდება.)

პარისი: (რევოლვერს უმიზნებს.)

- მოშორდი, ნაბიჭვარო! (რევოლვერის ჯერს მიუშვერს. მენელაოსი ვარდება. ელენე ყურებზე ხელებს იჭერს.)

პარისი ანიშნებს, მოვრჩი სროლასო. ხელები მოიშორეო. ელენე მენელაოსის გვამს დაჰყურებს, ხელები ისევ ისე აქვს. ხან მენელაოსს ამტერდება, ხან - პარისს.

პარისი:

- მოკვდა?!

ელენე თავს უქნევს, შეშინებული, უარის ნიშნად. პარისი ელენეს ამტერდება, თითქოს რაღაცის თქმას ვერ ასწრებს. მენელაოსი ნელა წამოიმართება, ერთი ხელით კისერში ჩაავლებს ელენეს და თავს დააღუნინებს, მეორე ხელით ავტომატის ლულას პარისს მიუშვერს.

პარისი: (რევოლვერიდან ცდილობს ესროლოს, მაგრამ ტყვიები არაა. მხოლოდ სუსტი ტკაცუნის ხმა ისმის.)

- გთხოვ, არ მომკლა!

მენელაოსი ელენეს აივანზე გაიყვანს. მენელაოსი ყვირის.

მენელაოსი:

- ომი დამთავრდა!

ელენე ხელიდან უსხლტება და აივნიდან ხტება და მიფრინავს. მენელაოსი აივანზე გადაეყუდება და იყურება. პარისიც გაოგნებული დგება მენელაოსის უკან და ელენეს უყურებს.

პარისი:

- გაფრინდა!

მენელაოსი:

კახპა! გამისხლტა! (ხელახლა ყვირის აივნიდან.) ომი გრძელდება! (პარისს ქეჩოში ჩაავლებს.) რატომ არ იბრძვი? (პარისი მხრებს იჩეჩავს.) ომში გინდა?! (პარისი თავს გააქნევს.) შენ გამო იბრძვიან, სირო! (პარისი ძალიან გაკვირვებული უყურებს. მენელაოსი ავტომატის მჭიდიდან ტყვიებს ამოიღებს და ხელის გულზე დაიყრის.) აქ (ავტომატს უჩვენებს.) ერთი ტყვია კიდევ არის. თუ არ გინდა აქ (თითოს ნიკაპის ქვევით მიაჭერს. პარისი ნიკაპს მაღლა წევს.) მოგხვდეს, ესენი (ხელის გულზე მოთავსებულ ტყვიებს უჩვენებს.) გადაყლაპე! რას მიყურებ?! გესროლო?! (პარისი ცდილობს ტყვიები სწრაფად ჩაყლაპოს. უჭირს ჩაყლაპვა. იხრჩობა. ახველებს. აფურთხებს. და ხელახლა იღებს პირში ტყვიას. მალ-მალე ყლაპავს, როგორც შეუძლია. მენელაოსი უცდის, ყველა ტყვიას როდის ჩაყლაპავს.) ყოჩაღ, ძმაო! (მხარზე ხელს არტყამს.) ახლა ომში წამოდი! (პარისი გარბის. მენელაოსი ესვრის. პარისი ფეხში იჭრება, ძირს ვარდება, კოჭლობით მიხობხავს. მენელაოსი ეწევა და ავტომატის ცხვირს აჭერს დუნდულზე. პარისი შეშდება. თავს ატრიალებს, ქვევიდან უყურებს.) ჩაიკუზე და მოჯვი ის ტყვიები! (პარისი იკუზება და ტყვიებს ისაქმებს.)

მიწისქვეშა მეტროსადგური. შუქები ბუუტავს. ბაქანზე ნაგვის გორა დგას. ნაგავზე გდია დეიას გვამი. მატარებლები ბაქნის ორივე მხრიდან გრუხუნით გადი-გამოდიან, გაუჩერებლად. ნაგვის გროვიდან ზომბებივით გამოდიან - I ქალბატონი, II ქალბატონი, III ქალბატონი, გოგონა-ქალი და კაცი, შემდეგი მონოლოგებით:

I ქალბატონი:

- მახსოვს ის დღე. მზიანი, ცხელი დღე. ჩვენს კინოთეატრში ფილმების ფესტივალი ტარდებოდა. მე და ჩემი დაქალი წავედით. რა უნდა აკეთო შუადღეს სხვა, ამ სიცხეში. „რომაული არდადეგები“ გადიოდა, გრეგორი პეკისა და ოდრი ჰეპბერნის მონაწილეობით. საოცარი ფილმია, მართლა. უცებ, ჩაზნელებულ დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. ჩვენ ფილმის საყურებლად მოვედით, უცებ კი რაღაც დაუგეგმავი იწყება. ხალხი აირია, ყვირილი დაიწყო. ვერ გავარკვეით, ვინ ყვიროდა და რის გამო. შეგვეშინდა, მე და ჩემმა დაქალმა ერთმანეთს ხელები ჩავჭიდეთ და გარეთ გამოვედით. ასე, ვდგავართ გარეთ და ხელებს არ ვუშვებთ ერთმანეთს. გარეთ კი, რას ვხედავთ: სატვირთო მანქანებით და გრძელი „ეკარუსებით“ მოდიან... სატვირთო მანქანის მარაზე წელზევით შიშველი ხალხი დგას, ტანსაცმელი გაუხდიან და აფრიალებენ, მაიმუნებივით გვიყურებენ, დროშები უჭირავთ და ყვირიან: გაუმარჯოს! გაუმარჯოს! გააჩერეს კინოთეატრთან. გადმოხტნენ მანქანებიდან და ჩვენი ბიჭების ცემა დაიწყეს. მე შემეშინდა, ჩემი ძმა არ მოეკლათ. თვალებით დავიწყე ძმის ძებნა. ვერსად ვიპოვე. ჩემს დაქალს ვუთხარი, ჩემი ძმა აუცილებლად უნდა მოვძებნო-მეთქი; ჩვენ ერთად წავედით ძმის მოსაძებნად, რადგან იმან მარტო არ გამოიშვა. ვხედავ, კინოთეატრის უკან ადამიანების დიდი გროვაა. ერთმანეთში ირევიან, როგორც მოჩხუბარი ფუტკრები... თუ გინახავთ, ფუტკრები რომ ერთმანეთს დაერევიან... მივირბინეთ გულგახეთქილებმა. ჩემი ძმაც აქაა, გასისხლიანებული და არაქათგამოცლილი. ვიღაცები მოდიან და გვეუბნებიან: დაიკო! დაიკო! და ხელებს გვკიდებენ. პირველად, მაშინ ვიგემე მათი შეხება... უცხო ხელი... არ მახსოვს შემდეგ, რა მოხდა.

II ქალბატონი:

- მე არ ვარ არც ტროელი და არც ბერძენი, სიმართლე გითხრათ; მაგრამ ჩვენ ხშირად ჩამოვდიოდით აქ, დასასვენებლად. გვიყვარდა ეს ადგილი; და თავისუფლება იყო აქ, იცით, არავინ არაფერს გეტყოდა ზედმეტს, ყველაფერი როგორც უნდა იყოს, თავისუფლად. რასაც გინდა აკეთებ, მთავარია რამე არ დააშავო. და ჩვენ წელიწადში რამდენჯერმე ჩამოვდიოდით. კარგად ვგრძნობდით თავს აქ. მეორე სახლივით იყო, როგორც მეორე სამშობლო; მაგრამ რაც მაშინ მოხდა, ბოლო ზაფხულს, მე მივხვდი, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო; და რაღაც უნდა მოყოლოდა ამას, გაუგონარი, წარმოუდგენელი. მე არ მიყვარდა მზეზე სიარული, გარუჯვა და მსგავსი. ჩრდილში სეირნობა მიყვარდა, განსაკუთრებით საღამოობით, მზის ჩასვლის ცქერა, როგორი სასიამოვნოა... ბულვარზე ვსეირნობდი, კვიპაროსების ჩრდილში. აქამდე არავის არაფერი უთქვამს, არც ამდევნებია, არაფერი. იმ ზაფხულს კი, ჩემთვის ვსეირნობ, საღამოს, და ვიღაც აშკარად მომყვება. „საით მიიპარები?!“ - მეუბნება ის, უცებ, დამცინავად და რაღაცნაირად, მაღლიდან, ამას ვერ ავხსნი. მე ვუპასუხე, რომ არსად არ მივიპარები, ჩემთვის ვსეირნობ, რამე პრობლემაა?! ეს ისეთი დამცინავი იყო... ისეთი მოულოდნელი... მან ჩემი ეროვნება მკითხა და პასპორტი მომთხოვა. ეს ისეთი გაუგონარი იყო. მალე აირია ყველაფერი.

III ქალბატონი:

- ჩვენ, ყველანი, იქ, სპარსულად ვსაუბრობდით, რადგან ვსწავლობდით სპარსულად და ჩვენ შორის განსხვავება არ იყო. უფრო სწორად, იყო, მაგრამ ჩვენ გამოვიჩინეთ მაინც ნიჭიერებით, ისინი კი ძალიან ბევრნი სწავლობდნენ იქ. და მერე, როდესაც დავამთავრე სწავლა და ჩამოვედი, აქ, როდესაც დავიწყე მუშაობა და უნივერსიტეტშიც ლექციებს ვკითხულობდი, ერთ დღესაც, ყველამ აღმოაჩინა, რომ ისინი ბერძნები არიან, მე კი ტროელი ვარ. და დაიწყეს ლაპარაკი, რომ „ეს ტროელი“ და ამას ჩვენ არ მოვუსმენთ, მის ლექციებზე არ ვივლით, და ბოიკოტი... იყო იქ ერთი კოლეგა, ღმერთმა გაანათლოს ზეცაში, რომელსაც ცოლი ჰყავდა ტროელი, და ის ეუბნება: შეხედეთ, რა კარგი გოგოა, არასდროს მისგან რამე ცუდი არ გვახსოვს, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვინ არის, ჩვენ ხომ პროფესია გვაერთიანებს... და ისინი ცოტათი დაწყნარდნენ... მაგრამ დაიწყო მიტინგები, და დროშები, და ყვირილი - „საბერძნეთი!“, და ყველანი აირივნენ... და არავინ უსმენდა უკვე, რა იყოს მართალი... და მე გამომავდეს... და მერე, დაიწყო ომი... და მე არ მეგონა, თუ აქამდე მივიდოდა...

კაცი: (ნაგვის გროვის თავზე ზის. იქიდან ლაპარაკობს.)

- ჩვენმა მთავრობამ დიდი შეცდომა დაუშვა, რომ ასე... ტროელებს უნდა მოვფერებოდით ჩვენ. რაც არ უნდა მონდომებოდათ, უნდა მოვფერებოდით, ჩვენი მტრებისკენ რომ არ გაეხედათ. აი ამ შეცდომებმა გააკეთა ყველაფერი. ვეუბნებოდით, გვაცალეთ ამ ხალხთან, მიგვიშვით, ერთი-ერთზე, ჩვენ ვიცით ესენი, ამათთან ერთად ვცხოვრობთ... არა! ესენი, „ჩვენ ვართ, ესა ვართ“, ლოზუნგებით... დალოცვილო, დამანებე თავი რა, ამას გეხვეწები. თუ ატყდა ომი, ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებთ... სტადიონის ხელა არიან ისინი. არ ჩაერიოთ! არ იცით, რა ხდება ჩვენს სამხარეულოში! არა, ისინი მაინც იძახიან: სტადიონის ხელა არიან, ვერაფერს იზამენ. თუ ასეთი ჭკვიანი ხარ, აკადემიკოსი და პროფესორი, ის რატომ არ იცი, ამ სტადიონის ხელა ხალხის უკან ვინ შეიძლება იდგეს. მაშინ ესეც გახსოვდეს ბარემ! სხვათა შორის, სახალხო ფრონტის გამოსვლაზე მე მახსოვს, ყველაზე დიდი წინააღმდეგი იყო ის ერთი პროფესორი, ფილოსოფოსი: „არ შეიძლებაო! არ გამოვაო!“ არ დაუჯერეს ამ უფროს ხალხს. „თავმჯდომარეობა მინდაო, მე ის მინდაო, ეს მინდაო“; ყველას სტატუსი აინტერესებდა, ლიდერობა, დიდი სახელები.

გოგონა-ქალი:

- მე მაღაზიაში შევდივარ. მანამდე, ტელეფონზე რაღაცას ვლაპარაკობ. და გამყიდველი მისმენს თურმე და მე არ ვიცი. მიყვირის ეს ქალი: „თქვენ მოკალით ჩემი ვაჟიშვილი! თქვენ ჩემი შვილის მკვლელები ხართ!“ „მე რა, მე მოკვალი თქვენი ვაჟიშვილი?!“ მლანძღავს ეს ქალი და მიყვირის - ჩემს დაწყევლილ ენაზე როგორ ვლაპარაკობ?!.. დაწყევლილია ჩემი ენა?!

I ქალბატონი:

- ყველა ენა დაწყევლილია.

გოგონა-ქალი:

- რატომ არის ჩემი ენა დაწყევლილი?! რადგან მე ამ ენაზე ვლაპარაკობ?!
დაწყევლილია ჩემი ენა?!

II ქალბატონი:

- დაწყველილია ჩვენი ენა. ნამდვილად ასეა.

III ქალბატონი:

- ყველა სიტყვა ტაბუა. ენა ყველაფერს ტაბუს ადებს იმით, რომ ასახელებს, აღნიშნავს. ეს ყველაფერი კერპებს ემსახურება. უამრავი კერპია. ფეტიშები. ვერაფერს გაიგებ.

კაცი:

- ყველაფრის თქმა შეიძლება. ყველაფრის დაწერა შეიძლება. თუ ამის უფლება მოგცეს. ყველაფერს დაიჯერებს კაცი. თითქოს, ყველა ერთმანეთს უსმენს; გესმის, რა ხდება; და უცებ, თურმე, არავინ არ უსმენს ერთმანეთს; საერთოდ გაურკვეველია, რა ხდება.

გოგონა-ქალი:

- ეს ქალი დედაა და ტკივა თავისი შვილის სიკვდილი, რა თქმა უნდა. „მე დედა ვარ!“ მეც უნდა გავხდე, დედა, ქალბატონო! და ჩემი სახლი მებრძოლებით სავსეა. და მე ვეკითხები ამ ბიჭებს, ისინი დაქირავებულები არიან თუ არა, როგორც ამას ბერძნები გვაბრალებენ. მაგალითად, ერთი ბიჭია აქ, სპარტელი, 21 წლის, დაქორწინებული, და აი, მე მას და მის ცოლს ვეკითხებოდი: „თქვენ, აი, აქ რომ ჩამოხვედით, ომია აქ, ეს ხომ იცოდით, რომ შეიძლება დაღუპულიყავით?“ ცოლს ვეუბნები: „შენ როგორ დაუშვი, სადღაც იქ, ვიღაც ტროელებთან შენი ქმარი წასულიყო და ებრძოლა?!“ ის მეუბნება: „სახლში მოვიდა და თქვა: ადამიანებს კლავენ იქ, სახლებიდან მათი გაგდება უნდათ, მე ვერ დავრჩები განზე, იქ უნდა წავიდე; დავბრუნდები თუ არა, ისიც არ ვიცი.“ თავს ვთვლი პატრიოტად, ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი სამშობლოსთვის, და სიმართლე ჩვენს მხარეს იყო. მე ამაში ვერავინ გადამარწმუნებს იმიტომ, რომ აი, ის, ვინც სხვაგვარად თვლის, მე მას ვურჩევ, უფრო ღრმად ჩაიხედოს, და ნუ უყურებს ამას ზედაპირულად, და გაერკვეს ყველაფერში.

გოგონა-ქალის ბოლოს ფრაზებს სხვები დაბნეულები ისმენენ. ვერ გარკვეულან, გოგონა-ქალს რისი თქმა უნდა. დეიას ყვირილი ისმის.

დეია:

- მურთაზი!

გოგონა-ქალი დეიასთან მიდის.

გოგონა-ქალი:

- ქალბატონო, ჩემი გესმით?! ცუდად ხომ არ ხართ?!

დეია:

- მურთაზი!

გვირაბის სიჩუმეში გასროლა ისმის, ჯერ ერთი, შემდეგ სამი. მატარებლები აღარ დადიან. ქალბატონები, გოგონა-ქალი და კაცი დეიას შორდებიან და გვირაბში იფანტებიან, ყნოსავენ ჰაერს, შიშით სავსენი, ცდილობენ იყნოსონ, რა ხდება.

ჰექტორი, ხელში რევოლვერით, მეტროსადგურში შემოდის. ქალბატონები, გოგონა-ქალი და კაცი შეშდებიან მთელს ბაქანზე მიმოფანტულნი. ჰექტორი ერთ-ერთის უკან იმალება. შემოდის მენელაოსი, ხელში რევოლვერით. ისიც ეფარება ერთ-ერთ მათგანს, ქალბატონები, გოგონა-ქალი და კაციდან. ჰექტორი და მენელაოსი ერთმანეთს ესვრიან. ტყვიები სხვა პერსონაჟებს ხვდებათ. ყოველ მოხვედრაზე, პერსონაჟი იძახის: „ვაი!“ და იკეცება.

ჰექტორი:

- მენელაოს!

მენელაოსი:

- რა?

ჰექტორი:

- მე და შენ უფრო შევეფერებით ძმებად ერთმანეთს, ვიდრე შენ - აგამემნონი, ან მე - პარისი. (ცოტა ხნის შემდეგ.) ასე არ ფიქრობ? (სიჩუმე.) მენელაოს!

მენელაოსი:

- რა?

ჰექტორი:

- ძმაო!

მენელაოსი:

- „ძმაო?!“

ჰექტორი:

- შენ ჩემი ძმა ხარ, მენელაოს, ისინი კი, აგამემნონი და პარისი - ერთმანეთის ძმები არიან.

მენელაოსი:

- მაგით რის თქმა გინდა?

ჰექტორი:

- მიყვარხარ, მენელაოს! არ მინდა, მოგკლა!

მენელაოსი:

- მომკლა?!

ჰექტორი:

- ნუ ხარ იდიოტი, მენელაოს! ყველაფერი გაიცნობიერე!

მენელაოსი:

- არაფრის გაცნობიერება არ მინდა. მომბეზრდა ყლებობები. უნდა მოგკლა.

ჰექტორი:

- შენსავით ძმაზე ვოცნებობდი. ვისაც ყლებობები მობეზრდებოდა და მხოლოდ ჩემს მოკვლაზე იოცნებებდა. ჩემზე ძლიერი ძმა მინდოდა მყოლოდა. პარისი პატარა იყო და თხებს ლოყებზე კოცნიდა. გიჟდებოდა თხებზე. სასახლეში თხების ფარა გვყავდა, იმდენად უყვარდა ისინი. პარისი თიკნებთან ერთად იძინებდა. მათთან ერთად დედა თხას ძუძუს წოვდა, მე კი ძლიერი ძმა მინდოდა, რკინის ძმა. როცა პარისს ეძინა, მე საბნის ქვეშ ღმერთს ვემუდარებოდი, ჩემთვის ძლიერი ძმა გაეჩინა. ისეთი ძმა, რომლის ჩრდილიც შემაშინებდა. რომელსაც თვალეშიც ვერ ჩაგხედავდი. რომელიც, ხელს თუ მომიჭერდა, ძვლებს ჩამისხვრევდა. მენელაოს!

მენელაოსი:

- რა?

ჰექტორი:

- შენ როგორ ძმაზე ოცნებობდი, როცა პატარა იყავი?

მენელაოსი:

- რომელსაც იოლად მოგვლავდი. აგამემნონი ჩემზე ძლიერი დაიბადა. ყველას ის უყვარდა. ყველა მასზე ამყარებდა იმედებს და არა - ჩემზე. ბედისწერას ვერ ვეწინააღმდეგებით.

ჰექტორი:

- ჩემო საბრალო, ძმაო, მენელაოს! როგორი საწყალობელია შენი ბედისწერა. მე ვარ სწორედ ის ძმა, შენ რომ გჭირდებოდა. შენ შეგიძლია მომკლა, მაგრამ... გამოდი... ჯერ გამოდი... მინდა, მოგეფერო.

მენელაოსი:

- რა?

ჰექტორი:

- მინდა, ლოყაზე მოგეფერო, სანამ ერთმანეთს დავხოცავთ. ჰო, სანამ ერთმანეთს დავხოცავთ. მე პარისი არ ვარ, რომელიც ვერავის კლავს. მეც მიყვარს მოკვლა. იმის მოკვლა, ვინც ძალიან მიყვარს. ჩვენ ერთმანეთს მოგვლავთ, მენელაოს! სიყვარულში დავიხოცებით.

მენელაოსი:

- მგონი, შიგა გაქვს!

დიალოგის განმავლობაში ისინი ერთმანეთს ესვრიან, რა დროსაც ყველა ფეხზე მდგარი პერსონაჟი ძირს ვარდება. საბოლოოდ, ისინი ერთმანეთის პირისპირ, ბარიერის გარეშე აღმოჩნდებიან. ერთმანეთს უმიზნებენ.

ჰექტორი: (მენელაოსისკენ მიემართება, ფრთხილი ნაბიჯებით.)

- შენ მე არ მესვრი, მენელაოს. ეს ვიცი. შენთან მოვდივარ. შენ არ მესვრი. ეს ვიცი.

მენელაოსი:

- შიგა გაქვს.

ჰექტორი მენელაოსთან მიდის. იგი იარაღით ეფერება ლოყაზე მენელაოსს. შემდეგ, ტანზე. შემდეგ, ფეხებშორის. შემდეგ, ბარძაყებზე; ამ დროს იკუზება. მენელაოსი ჩაკუზულ ჰექტორს თავზე იარაღს მიაბჯენს და როცა ჰექტორი ამოიწვევა, მენელაოსის იარაღმიდებული ხელი თავიდან არ შორდება. მთელი ამ პროცესის მანძილზე, ჰექტორი ტირის.

ჰექტორი:

- მენელაოს! ძმაო! მენელაოს! როგორი...

მენელაოსი:

- „ძმაოს“ ნუ მეძახი.

ჰექტორი:

- ძმაზე უფრო მეტიც ხარ ჩემთვის. ღმერთის საჩუქარი ხარ. ვოცნებობდი შენნაირ...

მენელაოსი:

- შიგა გაქვს.

ჰექტორი:

- მითხარი, ბევრჯერ, რომ „შიგა მაქვს“! ო, ეს ლოყ... *(ისევ ლოყებზე ეფერება. მენელაოსი იარაღს ტენის.)*

დეია:

- მურთაზი!

მენელაოსი:

- დეია! *(დეიასკენ მირბის. ჰექტორი გაოგნებული უყურებს.)*

დეია:

- ბახვა, დეია, სად იყავი?!

მენელაოსი:

- დეია, აქ რას აკეთებ?! კიდეც გესროლეს?! ვინ გესროლა, დეია, მითხარი! დედას ვუტირებ!

დეია:

- შეეშვი სხვების დედებისთვის კოტლეტების სროლას, დეია!

მენელაოსი:

- დეია! როგორ მიყვარხარ! *(ტირის.)*

დეია:

- როცა ტყვეები მოედანზე ჩამოატარეს, ძროხების ფერმაში ვმუშაობდი, ყოველდღე ხუთი ათას ძროხას ვწველიდი; აპარატით. ფერმა მივატოვე და მოედნისკენ გავიქეცი. მთელი გზა ვირბინე, არ გავჩერებულვარ. გარდაცვლილი შეყვარებულის

ჯარის ჩექმები მეცვა. როცა მოკლეს, გვამს გავხადე და მე ჩავიცვი. საშინლად ეცვათ ომის ტყვეებს. თითქმის არ ეცვათ. გაძვალტყავებულნი, დაღვრემილნი, დარდიანები მიდიოდნენ. არაფრის იმედი. არაფრის მოლოდინი. მათთვის ყველაფერი გათანასწორდა. მთელი სამყარო მოსწორდა. არცერთი ბორცვი, არცერთი ორმო, მხოლოდ ვაკე. მახსოვს, ყველაზე ლამაზი და ქერა ტყვე გამოვარჩიე. როცა დავინახე, სისხლმა ტვინში ამასხა, გული კი ველური ირემივით ლამის მკერდიდან ამომივარდა... გავიქეცი... ეს რომ არ მექნა, ვიკივლებდი, ვიკივლებდი და ვერც ვერავინ გამაჩერებდა... თვალები დავხუჭე და ყველაზე ქერა და ლამაზ ტყვეს პანჩური ისე მაგრად ამოვარტყი... ეს რომ არ მექნა, თავს მოვიკლავდი და ვერც ვერავინ გადამარჩენდა... ისე მაგრად ამოვარტყი პანჩური, ჩექმა... ჩემი შეყვარებულის ერთი ჩექმა უკან, ფეხებშორის ჩარჩა... ვერ გაჩერდებოდა, რადგან მაშინვე მოკლავდნენ. გამოძრობის დრო არ იყო, რის გამოც ჩექმაგაჩრილმა განაგრძო სიარული. ცალი ჩექმით უკან მოვბრუნდი. იმდენი ვიცინე, იმდენი ვიცინე. მერე უმიზეზოდ ვტიროდი. მე თვითონაც არ ვიცი, რა მატირებდა. იპოვე ის ჩექმა, ბახვა, დეია, და ჩემს საფლავზე ამომიტანე. *(დეია კვდება. მენელაოსი დეიას გვამზე დაემხობა.)*

მენელაოსი:

- არა, დეია! არა!

ჰექტორი:

- მე ყოველთვის... *(მენელაოსი თავაუწევლად ესვრის ჰექტორს. ჰექტორს თავში ხვდება და ძირს ვარდება.)*

მენელაოსი:

- ვიპოვი, დეია, მე შენს ჩექმას! გპირდები!

მენელაოსი გადის.

ელენე ტყეებს შორის გაშლილ მინდორზე დაფრინდება. ბუჩქსუკან ზევსი შველად გადაიქცევა და ელენეს წინ გამოდის.

ელენე:

- წადი, შველო, არ მომეკარო! მე ისეთი ბინძური ვარ! საძაგელი ვარ, შველო, დედასთან წადი! *(შველი არ მიდის. ელენეს გაუბედავად უახლოვდება.)* შენც, ალბათ, ჩემი სილამაზე გაცდუნებს. დამიჯერე, არ ღირს ჩემთან მოსვლა. არ მომიახლოვდე. *(შველი უახლოვდება.)* როგორ არ გესმის ჩემი! ჯიუტი ყოფილხარ. ჩემთან მხოლოდ ჯიუტები მოდიან. *(შველს გულში იკრავს.)* ბავშვობიდანვე შველებში უნდა მეცხოვრა. ადამიანებში ჩემი ადგილი არ იყო. შენ მოგიძღვნი, შველო, ჩემს თავს ამიერიდან. როგორც ჩანს, დედა არა გყავს, რადგან არ მშორდები. მე გიშვილებ. მთავარია, სადმე მგელი არ იყოს! ფრთხილად! მე აღარ მეშინია მგლების, რადგან უკვე შენ მყავხარ! და შენ უნდა გადაგარჩინო! *(შველს ხელში აიყვანს და ტყეში შედის.)*

აგამემნონი:

- შენი და დაიკარგა!

კლიტემნესტრა:

- რა?

აგამემნონი:

- შენი და დაიკარგა. ვერ პოულობენ.

კლიტემნესტრა:

- ვინ ვერ პოულობს?

აგამემნონი:

- ყველანი.

კლიტემნესტრა:

- ბავშვი სად არის?!

აგამემნონი და კლიტემნესტრა ტბის პირას.

აგამემნონი:

- ღმერთის დაცემა დაინახე?! წყალში ჩავარდა... წყლიდან მხოლოდ მისი ფეხი ჩანს... ბოლომდე არ იძირება... ყველა თავის საქმეს აკეთებს... ჩიტები ფრენენ... თევზები ცურავენ... ადამიანები იბრძვიან...

კლიტემნესტრა:

- ჩქარა ჩავიდეთ! შეიძლება, ჩვენი შვილი ჯერ არ დამხრჩვალა!

აგამემნონი:

- სისულელეა! თუ ტბაში ჩავარდა, უკვე ათასჯერ მკვდარი იქნება.

კლიტემნესტრა აკვალანგის ჟილეტს იცმევს და წყალში შედის.

აგამემნონი:

- საყვარელო! (კლიტემნესტრა თავს აბრუნებს.) მოვდივარ! (კლიტემნესტრა წყალში ჩასვლას განაგრძობს. აგამემნონიც წყალში შედის.)

ცოტა ხნის შემდეგ.

კასანდრა ზღვის ნაპირას ჭყუმპალაობს.

კასანდრა:

ტ - ტ!

ტ - ტ!

ტ - ტ!

ტ! ტ! ტ!

ტ! ტ! ტ!

ტ! ტ! ტ!

ტ - ნ - ტ!

ტ - ნ - ტ!

ტ - ნ - ტ!

ტ - ლ - ტ!

ტ - ლ - ტ!

ტ - ლ - ტ!

ტ თ დ ტ

ტ ტ ტ ტ ტ ტ

თ - თ - თ

თ - თ - თ

თ - თ - თ

თ - თ - თ - ნ - თ

თ - ნ - თ

თ - ნ - თ

თ - ნ - თ

თ - თ.

კლიტემნესტრა:

- არაფერია!

აგამემნონი:

- არაფერია.

კლიტემნესტრა:

- სად არის ჩვენი ბავშვი?!

აგამემნონი:

- სადმე იქნება. *(კასანდრა წყლიდან გამოყავს.)*

კლიტემნესტრა:

- შეეშვი მაგას!

აგამემნონი:

- დაიხრჩობა.

კასანდრა აგამემნონს უძალიანდება.

კასანდრა:

ადანა

ბადანა

დადანა

მადანა

ლადანა

ყადანა

ჟადანა

ფადანა

უდანა

ჩუდანა

ჯუდანა

ცუდანა

წადანა

კადანა

ჭადანა

თადანა

სადანა

რადანა
ზადანა
ვადანა
პადანა
პადანა
ჰადანა
ჰადანა

აგამემნონი: *(კლიტემნესტრას ჰამერზე მიუთითებს. აგამემნონს კასანდრა ორივე ხელებით გაკავებული ჰყავს.)*

კლიტემნესტრა, გამწარებული, ჯერ ერთ, მარჯვენა ხელს აგამემნონს ულაწუნებს, და შემდეგ, მეორე ხელს, მარცხენას, - კასანდრას. კლიტემნესტრა გარბის.

აგამემნონი:

- საყვარელო! *(სიჩუმე.)* კლიტემნესტრა!

პარისი ეიფელის კოშკის მწვერვალზე დგას და პარიზს გადაჰყურებს. ბინოკლიც უჭირავს. პრიამოსი ელისეის მინდვრებში ჩაკუზულა და ახველებს. თანაც ეწევა. ირგვლივ სიგარეტის უამრავი ნამწვავი გდია. ღამეა.

პარისი: (ბინოკლის მეშვეობით ახლოდან ათვალიერებს სიგარეტის ნამწვავებს პრიამოსის ირგვლივ.)

- მამა, ამდენი სიგარეტი შენ მოწიე?! (პრიამოსი ისე ახველებს, ვერ პასუხობს.) მოკვდები! ვერ ხედავ, როგორ ახველებ?!
პრიამოსი:

პრიამოსი:

- მანდ რა გინდა?! რას აკეთებ?!

პარისი:

- პარიზით ვტკბები. საოცარია...

პრიამოსი:

- შეეშვი მაგ კოშკს! ძირს ჩამოდი! შენ გამო დაგვბომბავენ.

პარისი:

- შეუძლებელია. პარიზი არ განადგურდება!

პრიამოსი:

- მაშინ ჩაბარდი. (საშინლად ახველებს.)

პარისი:

- ვის ჩავბარდე?! საქონელი ვარ?!

პრიამოსი: (ხველებით.)

- პარიზია საქონელი?!

პარისი:

- მეზიზღება ომი. მიყვარს ეს ქალაქი. აი, ბულონის ტყე. ელენე, ალბათ, იქაა. ვენსანის ტყე. შეიძლება იქაა ელენე.

პრიამოსი:

- ბოზობამ მოსტყვნა ეს ქალაქი.

პარისი:

- ელენე ბოზი არ არის, მამა!

პრიამოსი: (მუხლებზე ემხოზა და პარისს შეჰკლავს.)

- არ დააბოძინო ეს ქალაქი, პარის!

პარისი ქალაქის თვალიერებას აგრძელებს, ღამეში. პრიამოსი ახალ ღერს უკიდებს და საშინლად ახველებს.

აგამემნონი სახლში კასანდრასთან ერთად ბრუნდება. კლიტემნესტრას ნაჭრებში შეხვეული ბავშვი უჭირავს.

კლიტემნესტრა:

- საყვარელო, ბავშვი...

აგამემნონი:

- ზევსია! გადააგდე!

კლიტემნესტრა:

- საყვარელო, ეს ჩვენი...

აგამემნონი:

- ზევსია, ეს დედამოტყნული, გადააგდე!

კასანდრა თავისთვის ლაპარაკობს.

კასანდრა:

დღც

დღც

დღც

გგბ

დღც

დღც

დღც

გგ

დღც

დტც

დსც

ცც

კლც

ჟტც

რსც

ტტ

დღქ

დღჰ

დღშ

დჩ

დღფ

დღპ

დღხ

ჯჯ

ღყმ

ღყრ

ღყტ

ღწ

ღყჭ

ღყჯ

ღყქ

ძძ

ბნკ

ლწრ

კსთ

თთ

ღცრ

ჭჭგ

ქხვ

ზზ

ფფლ

ფფმ

ფფპ

ღაცა.

კლიტემნესტრა:

- მგონი, გაგიჟდი. ომმა გაგაგიჟა. ბავშვისთვის მოკარება არც გაბედო.

აგამემნონი:

- მივეკარები და დედასაც მოვუტყნავ! *(ბავშვიან კლიტემნესტრას მივარდება და ბავშვს დაჰყვირის:)* ელენე, სად არის, შენი დედა მოვტყან! ჩემს რძალს რა უყავი?!

კლიტემნესტრა:

- გიჟი ხარ, აგამემნონ! ბავშვისგან გაიწიე! *(კლიტემნესტრა კივის. ბავშვის საშინლად ატირდება.)* ნუ მინგრევ ცხოვრებას! ნუ მაუბედურებ! როგორც იქნა, ბავშვი ვიპოვე!..

აგამემნონი:

- შანსი არაა! დაიმახსოვრე: ეს აქ არ დარჩება, რადგან ეს ზევსია და შენი ცდუნება უნდა! ისევე, როგორც შენი და აცდუნდა და კაცმა არ იცის, რა უქნა! დაფიქრდი ეს დედამოტყნული! *(აგამემნონი გადის.)*

კლიტემნესტრა:

- გიჟი ხარ.

აგამემნონი ქუჩაში. კანალიზაციის ღია ლუქში იხედება. ყვირის:

აგამემნონი:

- მენელაოს! ძმაო! ცოცხალი ხარ?! (ცოტა ხნის შემდეგ.) ბახვა, ცოცხალი ხარ?!

სხვა ღია ლუქიდან მენელაოსი ამოდის. ჯერ თავს ამოწევს, მერე კი წელამდე ამოვა. მერე - მთლიანად. ამას ნელ-ნელა აკეთებს.

მენელაოსი:

- ძმაო, ასე ხშირად არავის კლავენ. მხოლოდ იშვიათად შეიძლება მოვკვდეთ. ჩვევები ჩვენ არც გვჭირდება, საკმარისი ბრძოლის 15 წამი, და თუ გადარჩი, მორჩა, შენ უკვე ნასწავლი ხარ, თვითონ ისწავლე. ომში ასეთი ძალიან საინტერესო მომენტი გადამხდა თავს, რომ მე მარტო ფრონტის სარდალს ვემორჩილებოდი. ეს ძალიან საინტერესოა, ამ დროს; იბრძოლე; საწყენია, რომ არ იმოროდიორე. (იცინის) მაღლობა ღმერთს, არანაირი მედლები არ მოუციათ, ესე იგი ცუდად იბრძოლე. ომში ძალიან ბევრი მოვლენაა. ომიდან შეიძლება წამოხვიდე თავიდან დაბადებული, - ანუ შეიძლება თავიდან დაიბადო, - შეიძლება დაიღუპო, ამ დროს... ანუ, როგორც ადამიანი, - ანუ შენ შენ აღარ ხარ. იქ შეიძლება ძალიან ბევრი ტრანსფორმაცია განიცადო. (მთელი ამ დროის აგამემნონი უსმენს და ცდილობს მიხვდეს მენელაოსის სათქმელს.)

აგამემნონი:

- ღმერთო ჩემო, ბახვა.

მენელაოსი:

- დიახ, ჩემში მოხდა ცვლილებები. ვთქვა, რომ არ შევიცვალე, სისულელეა, რადგან მე ბევრად ნერვიული გავხდი, მიუხედავად იმისა, რომ მე ვაკონტროლებ... (აგამემნონი მუხლებზე ვარდება და ტირის. მენელაოსთან მუხლებით მიდის და ეხვევა.) ამ დროს ჩნდება ძალიან რალაცნაირი იუმორი - შავი. მე დავიწყე გინება და ფეთქებადი ხასიათი გამიხდა. ის კი ყოველთვის შიგნით ზის, ყოველთვის იჯდა, მაგრამ მე ადრე... როგორც არის, ეს შემეძლო, - ეხლა იუმორი არ მყოფნის, არ მყოფნის.

აგამემნონი:

- რა დაგემართა, მენელაოს?! რა დაგემართა?!

მენელაოსი:

- ჩვენ ცეცხლს უშენდით და მე კი კორექტირებაზე ვიყავი, ანუ კორექტირებაზე როგორ, მე მომიწია კორექტირება, იქ იმათი ტანკები შემოდიოდა, როგორღაც სახლებს შორის და ჩვენ ვცდილობდით იმათ... იქ ძნელი იყო, მაგრამ ჩვენ ვცდილობდით. იქ იცი როგორ არის? იქ ორი ადგილი იყო, ერთი ცოტა დაბლა, ერთი ცოტა მაღლა და, აი ქვედა ადგილიდან ჩვენ ცეცხლი გაუხსენით იმ ტანკებს და ა.შ. და პერისკოპზე, - იქ არის ასეთი პერისკოპი, ასე ჰქვია, ვზივარ და ვუყურებ და, იცი როგორ? აი ბოლი, სადაც ის ტანკები დავცხრილეთ, გაიფანტა, მე პერისკოპი გაწვიე და ვხედავ უკვე ზედა ადგილას, სადაც ახალი რაიონია, სადაც ბოლოში, ცარიელი ადგილია, გამოვიდა გოგო და საქანელებზე ქანაობს. (იცინის).

წარმოგიდგენია? ეს მდგომარეობა... აი შენ მხატვარი ხარ, ხომ? გახსოვს, შენ, ჩემი ნახატები?! *(აგამემნონი დუმს.)* შენ ისეთი პაციფისტი ხარ საერთოდ, საინტერესო ადამიანი, ხომ? აი შენ აქ ვითომ სამშობლოს იცავ, და მერე ხედავ... ანუ, გესმის, როგორ... როდესაც შენ ეს ყველაფერი გესმის, ეს იცი როგორ არის? *(აგამემნონი მენელაოსის სახეს ხელეზში მოიქცევს.)*

აგამემნონი:

- ღმერთო ჩემო, რა მოხდა?!

მენელაოსი:

- კიდევ ერთხელ გეტყვი, იყო ძალიან საინტერესო, ასეთი ბრეიგელის... მხატვარია ბრეიგელი, მას ძალიან საინტერესო პეიზაჟები აქვს, ფლამანდიელი. გესმის, ჩვენ ვსხედვართ, ბრძოლა მიდის, ძლიერი ცეცხლდაშენა, ანუ ჩვენ ვსხედვართ სამხედრო პუნქტში, ჰქვია საკომანდო პუნქტი, მე მივედი, და იქ ძლიერი ცეცხლდაშენა მიდიოდა, ამიტომ ჩვენ ვისხედით საკომანდო პუნქტში. მე ვუყურებ, პარიზი იწვის...

აგამემნონი:

- იტყუები. პარიზი არ დამწვარა. *(აგამემნონი დგება. მენელაოსს ზევიდან დაჰყურებს. მენელაოსი ქვევით იყურება.)*

მენელაოსი:

- ქალაქი, შენ გესმის, ეს რა მდგომარეობაა? - ცეცხლწაკიდებული ქალაქი? ისინი ბომბავენ, ჩვენ ვბომბავთ, ანუ ცეცხლდაშენა, აი ასეთი საშინელება და უცებ ჩემი მეგობარი ამბობს: „უყურე, უყურე“ - და მე დავინახე, იცი ჩვენს წინ გორაკია, იქ, ცოტა ზევით, არის საფლავები, ისინი ჩანს, და საფლავებს შორის ამ გორაკზე... ეს გორაკი, იცი როგორ? როგორ გითხრა? ასეთი არასწორია...

აგამემნონი:

- გავიგე, ბახვა. მერე?

მენელაოსი:

- მიწაყრილი არა. ასეთი, იცი როგორ? ასეთი პატარა მინდორი, აი ასე გვერდულად და იქ კაცი თიბავს. ანუ ჩვენს შორის, აი ამ ცეცხლწაკიდებულ ქალაქსა და საკომანდო პუნქტს შორის, რომელსაც ცეცხლს უშენენ, კაცი თიბავს. დრო და დრო ჩერდება, რაღაცას უყურებს. *(იცინის)*.

აგამემნონი:

- მერე?

მენელაოსი:

- მერე ჩვენსკენ მოტრიალდა, თითქოს... ანუ, გესმის, ბრეიგელს აქვს ნახატი, მას ჰქვია „იკაროსის დაცემა“. აი, მე გამახსენდა, რადგან რომ... იქ, გესმის, იქ ნახატზე არ არის იკაროსი, ანუ, იქ ჩანს, რომ ვიღაც ცხვარს მწყემსავს, ვიღაც მიწას ხნავს, ანუ, ხალხი თავის საქმეს აკეთებს. და იკაროსი, ეს იქ, ზღვაზე ჩანს, აი, თითქოს, ფეხია ამოშვერილი, წყალში ჩავარდა. *(იცინის)*. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ყველაფერი

ინგრევა, და ეს კაცი ბალახს თიბავს. ეს საერთოდ. ანუ გესმის, ასეთი სიურეალისტური რაღაც, გამოსაფხიზლებელი თითქოს...

აგამემნონი:

- „გამოსაფხიზლებელი“; როგორ არა; ნამდვილად.

მენელაოსი:

- ძმაო, დეიას ჩექმას ვეძებ. აი, ის კაცი, სასაფლაოზე რომ იდგა... შეიძლება სწორედ ის იყო... ის ტყვე... დეიას საფლავზე რომელიც თიბავდა.

აგამემნონი:

- ჩუ ჩუ ჩუ, ბახვა, დამშვიდდი. აუცილებლად ვიპოვით ჩექმას. თვალები დახუჭე.

მენელაოსი:

- ვიპოვით?!

აგამემნონი:

- რა თქმა უნდა, ვიპოვით. თვალები დახუჭე.

მენელაოსს თავში ესვრის. კანალიზაციის ხვრელში აგდებს.

აგამემნონი:

- ვიპოვით.

გადის.

*პარსი გარბის. ჰაერში ზევით, და სხვადასხვა მიმართულებით პისტოლეტიდან ისვრის.
ყვირის:*

პარსი:

- ელენე! ელენე! სადა ხარ, საყვარელო! მე მოვდივარ!

აგამემნონი:

- მთელი ამ ხნის მანძილზე, მე გატყუებული კლიტემნესტრა... *(კლიტემნესტრა დაბნეული შეჰყურებს.)* ბავშვი ხარების ღმერთმა წამართვა...

კლიტემნესტრა:

- რომელი ხარების ღმერთმა?!

აგამემნონი:

- ვისი ხარიც მოვკალი. მე მას დავეჯახე და მოვკალი.

კლიტემნესტრა:

- ტყუი!

აგამემნონი:

- აქამდე ვტყუოდი, ახლა კი სიმართლეს ვამბობ. თუ გპულვარ, მომკალი.

კლიტემნესტრა:

- მე ჩემი ბავშვი ვიპოვე! ეს ჩემი ბავშვია! მნიშვნელობა არა აქვს, პატარავ, წარსულში რა მოხდა. მე შენ მიყვარხარ!

აგამემნონი:

- მართლა გიყვარვარ?!

კლიტემნესტრა:

- რა თქმა უნდა! ბავშვი! ჩემი ბავშვი! ჩემი სიცოცხლე!

პრიამოსის და კლიტემნესტრას მამის თავები.

პრიამოსის თავი:

- თვალისმომჭრელი სინათლე იყო! რაღაცამ განგვესჭავალა...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- თითქოს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის საზღვარი გაქრა...

პრიამოსის თავი:

- ვერაფერს ვამჩნევ...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- ვერც კავშირს...

პრიამოსის თავი:

- ვერც განსხვავებას...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- ვერც წინააღმდეგობას...

პრიამოსის თავი:

- ვერც სიყვარულს...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- შენ როგორ მოკვდი?

პრიამოსის თავი:

- ვერც სიძულვილს...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- მე ნახირს ვმწყემსავდი. უამრავი პირუტყვი მყავდა. ფერმერი ვიყავი.

პრიამოსის თავი:

- ვერც შეზღუდულობას...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- შეიძლება ბომბი დამეცა. შეიძლება ავფეთქდი.

პრიამოსის თავი:

- ვერც თავისუფლებას...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- შეგიძლია, ცოტა ხნით გაჩერდე?

პრიამოსის თავი:

- ვერც უბედურებას...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- მხოლოდ ბედნიერებას... ამის დედაც!

პრიამოსის თავი:

- ვერც ტანჯვას...

კლიტემნესტრას მამის თავი:

- მხოლოდ ტკბობას... ამის დედაც!

პრიამოსის თავი:

- სად ვართ? დროშა ფრიალებს.

კლიტემნესტრას მამის თავი:

- საფრთხობელაა... იქ ყანებია...

პრიამოსის თავი:

- რა ყანებია?!

კლიტემნესტრას მამის თავი:

- მარწყვი... მოცხარი... მაყვალი...

პრიამოსის თავი:

- კარგია, კარგი, ყანები!

კლიტემნესტრას მამის თავი:

- მე ვარ ბიოდეგრადირებადი არსება.

პრიამოსის თავი:

- მე ვარ ნივთიერებათა ცვლა.

კლიტემნესტრას მამის თავი:

- არ გაჩერდე! განაგრძე! არ შეწყვიტო, თორემ მოგკლავ!

პრიამოსის თავი:

- აღარა მეშინია სიკვდილის! მომკალი!

აფეთქება. თავები სკდებიან.

ჰამერი ეზოში შემოდის ანთებული ფარებით. აგამემნონი გადმოდის. კლიტემნესტრას ბავშვისთვის ძუძუს წოვებაში ჩასძინებია.

აგამემნონი:

- ეს ბავშვი არ მომწონს. კასანდრა არ გინახავს?

კლიტემნესტრას ეპარება და ბავშვს აცლის.

აგამემნონი მანქანას ქოქავს და მიდის.

შემოდის კასანდრა. თითქოს, კლიტემნესტრას აძინებს.

კასანდრა:

- კან-კალი ლიკ-ლიკი რაკ-რაკი კირ-კიტი ჭუკ-ჭუკი ჯაყ-ჯაყი ჩერ-ჩეტი ფარ-ფატი ბი-ბინი ფამ-ფალი ფი-ფინი წკავ-წკავი წივ-წივი ჭიკ-ჭიკი ჭივ-ჭივი ჟივ-ჟივი ტივ-ტივი დუ-დუნი გუ-გუნი ზან-ზარი ზივ-ზივი ზუ-ზუნი ზი-ზინი კარ-კაცი კამ-კაში ხარ-ხარი ხორ-ხოცი ხი-ხინი რიხ-რიხი ლუ-ლუნი ლა-ლანი ყი-ყინი ყან-ყალი ყარ-ყატი ტი-ტინი ტა-ტანი ტუ-ტუნი და-დანი ბა-ბანი გა-განი კა-კანი ქა-ქანი ჟუ-ჟუნი წუ-წუნი ში-შინი ჩი-ჩინი ბუ-ბუნი პამ-პალი ლაპ-ლაპი ტან-ტალი წან-წალი თან-თალი დან-დალი ცან-ცალი ცუნ-ცული სკუპ-სკუპი ძუნ-ძული ფუხ-ფუხი ფახ-ფახი თუხ-თუხი რახ-რახი ცახ-ცახი ციმ-ციმი ცი-ცინი ფუთ-ფუთი ჩურ-ჩული ჯაჯ-ღანი ჯუჯ-ღუნი ჩიჩ-ხინი ჭუჭ-ყუნი ჭიჭ-ყინი ყი-ყინი ყა-ყანი ყან-ყალი ყურ-ყუტი თათ-ხანი თით-ხინი ვახ-ვახი ვუხ-ვუხი ღი-ღინი ქან-ქარი წავ-წავი ჩან-ჩალი ჩუ-ჩუნი ჯან-ჯალი ჯუ-ჯუნი ფი-ფინი ვიმ-ვიმი ლივ-ლივი ნარ-ნარი სი-სინი ღრი-ტინი ღრუ-ტუნი ჩიფ-ჩიფი ბუ-ბუნი ნა-ნავი რო-ნინი კა-კუნი კი-კინი კერ-კეტი ჭახ-ჭახი რიჟ-რაჟი!

კასანდრას პატარა ეიფელის კოშკი ოთახში შემოაქვს. მის გარშემო დადის და დითირამბს უმღერის:

კასანდრა:

- მე შენ გდგამ ჩემს ოთახში, როგორც ნაძვის ხეს
აგკიდებ ყველა სიტყვას
და ყველა ცრემლს
გაგანათებს მრავალი თვალი
მრავალი ვარსკვლავი
გაკოცებს მზე
და შეგინახავს წმინდა სიზმარი

შენ ირგვლივ დავრბივარ
ჩემო პატარა
ვცელქობ
ვანცობ
გიმღერი
გილიმი
შენ ხარ ჩემი
დიდი საჩუქარი
დიდი იმედი
დიდი აბლაბუდა.

კლიტემნესტრა ნაჯახით გამოდის და კასანდრას შეუბრალებლად ჩეხავს.

კლიტემნესტრა:

- ყველაფერი შენი ბრალია, ბოზანდარა!

გულს რომ იჯერებს, სისხლიანი ნაჯახით ხელში, მტკიცე ნაბიჯებით გადის.

აფეთქებების ხმა და შუქის ელვა ძლიერდება. კასანდრა ძირს გდია, იატაკზე ცეკვავს კონველსიური ცეკვით, მუსიკის გარეშე. ნელ-ნელა ძლიერდება ფრანგული მუსიკა.

კასანდრა:

ბახ! ბუხ! ბიხ!

ბა-ბახ!

ბიხ! ბუხ! ბოხ!

ბუ-ბუხ!

დუხ! ტუხ! ქუხ!

დუ-დუხ!

ჭუხ! ჯუხ! ჩუხ!

გუ-გუხ!

ჰუხ! ძუხ! ცუხ!

წუ-წუხ!

სუხ! თუხ! ფუხ!

ფა-ფახ!

და! და! და!

და-დახ!

დუ-დუ-დუ!

დუ-დუხ!

ზუ-ზუ-ზუ!

ზუ-ზუხ!

პა-პა-პა!

პა-პახ!

პიო-პაო! პიო-პაო! პიო-პაო! პიო-პაო!

პიო-პაო! პიო-პაო! პიო-პაო! პიო-პაო!

ჰა! ჰა! ჰა!

ჰაუ! ჰაუ!

ჰე! ჰე! ჰე!

ე-ჰეეე!

ჭუხ-ჭახ-ჭოხ!

ჭუ-ჭუუუ!

ჯიხ-ჯახ-ჯუხ!

ჯუ-ჯუუუ!

დასასრული